№ 115 27 ღვინობისთვე, ოთხშაბათი 1866–1876 27 ღვინობისთვე, ოთხშაბათი № 115

დროება

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲐᲝᲑᲘᲗ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲝᲑᲘᲗ

რედაქცია
ველიამინოვის ქუჩაზე, Артемъ Чаикинъ-ის სახლებში.

ხელის-მოწერა
რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. Жалаетъ за границу подписчиковъ: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი
წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.
Цѣлый номеръ — одна шаури.

განცხადება
მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი
დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. Დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება

„დროების“ რედაქცია სთხოვს თავის აგენტებს და ხელის-მოწერლებს, რომ, რადგან ეს წელიწადი თავდება და მალე ახალი, მოსავალი წლის ხელის-მოწერა უნდა გაიმართოს, ამის გამო წლევანდელი გაზეთის ფული, ვისაც არ გამოუგზავნია, რაც შეიძლება მალე გამოგზავნონ.

საქართველო

ჩვენი საზოგადო სენი

ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა იმ კაცის მდგომარეობას ემსგავსება, რომელიც დამწყვედეულია ბნელს ოთახში და ხან ერთს კედელს ეცემა, ხან მეორეს, ეძებს გარეთ, სინათლეში გამოსასვლელს კარებსა და ვერ უპოვნია.

ახლანდელი ჩვენი ცხოვრება ბნელი, გზა-გამოუკელელი და უსინათლო ცხოვრებაა. ჩვენც, იმ კაცსავით, ხან ერთ მხარესაკენ მივარდებით და სინათლის, ბედნიერებისა და საზოგადო კეთილ-დღეობის კარებს ვეძებთ, ხან მეორე მხრისაკენ, ხან მესამესკენ და ამ რიგათ მთელი ჩვენი წინდელი ცხოვრება ამ მხსნელი კარის ძებნაში მიდის.

ერთი ამბობს: ჩვენი ბედნიერება შკოლაზედ არის დამოკიდებული: გაამრავლეთ შკოლები და ნახამთ, რომ ჩვენ კეთილ-დღეობას მოვესწრებითო.

მეორე ამგვარადვე ამტკიცებს, რომ ჯერ ეკონომიური ცხოვრება უნდა გავიუმჯობესოთ და მერე, მხოლოთ მერე, როცა ხალხი ვალდებული არ იქნება ლუკმა-პურისთვის იზრუნოს, შეიძლება შკოლებზე და სხვა რამეებზე ფიქრიო. ამის გამო ყველაზე პირველად ჩვენში ხასოფლო ბანკები და პურის მაღაზიები უნდა გაიხსნასო.

მესამე წრფელის გულით გეუბნებათ, რომ ყველა ჩვენი უბედურება მკითხავებისა და სოფლის ექიმებისაგან წარმოსდგებაო; ისინი რომ არ იყვნენ, იმათ რომ თავიანთი ხელობა აღეკრძალოთ, რაღა უშავს მაშინ ჩვენს ხალხსო სანეტარო მდგომარეობაში იქნებაო.

მეოთხე იძახის: ჩვენი დამლუპველი ადვოკატები არიან! Ისინი რომ არ გაჩენილიყვნენ, არა გვიშავდარა!

Ისეთი ქართველიც გვინახავს ჩვენ, რომელიც ბრძნულის სახით ამტკიცებდა, რომ საქართველოს ყოველ-მხრივი წარმატებისათვის მხოლოთ ერთი საშუალებაა საკმაო: ისეთი წამლის მოგონება, რომ ჩვენებურ ტიკებს კუპრის სუნი არ აუდინდესო!

ამ ჯიარად ყველა თავისკენ ეწევა, მიათრევს ამ ჩვენ საწყალ, გზა-დაბნეულ საზოგადოებას: ერთი ბანკისაკენ, მეორე შკოლისაკენ, მესამე პურის მაღაზიაში მიათრევს, მეოთხე კუპრისაკენ და სხვ.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი: საქმე იმაშია, რომ თითოეულ ამათგანს თავის საშუალება ყოველის-მხსნელ და ყოვლად-მკურნალ საშუალებად მიაჩნია საზოგადოებისათვის; მიაჩნია, და ამასთანავე დარწმუნებულია, რომ თუ იმის ნაჩვენებ გზაზე, იმის საშუალებით არ იხელმძღვანელა საზოგადოებამ, ის დაიღუპება.

არც ეს გარემოება არის დიდი უბედურება. Უბედურება მხოლოთ ის არის, რომ ამისთანა, თავის საშუალების მხოლოობაში და ყოველის-შემძლებლობაში დარწმუნებული პირი, როგორც კი დაინახავს, რომ ეს იმის საშუალება, ჰაზრი ანუ წამალი არ მიიღო საზოგადოებამ, იმ წამსვე ხელებს ჩამოუშვებს, კისერს იღრეკს და არავითარ სხვა საშუალებასა და საზოგადო საქმეს ხელს აღარ ჰკიდებს. „Ара лиръ сомъ, ამბობს სასოწარკვეთილებით; ამ გზაზედ საზოგადოება კეთილ-დღეობამდინ თავის დღეში ვერ მიაღწევსო!“

Უბრალო ჭეშმარიტება ვერ გაგვიგია, რომ ხალხის ცხოვრება ერთი რამ მაშინა არ არის, რომ მხოლოთ ერთის ბურღვის მოშლით ან გაკეთებით მოიშალოს ანუ გაკეთდეს.

Ეს ვერ გაგვიგია, რომ ხალხის ცხოვრებაზედ ათას გარემოებას, ათას მოვლენას, გარეგანსა და შინაგანს, აქვს თითქმის ერთგვარიად ზედმოქმედება და ძალა.

Ვერ გაგვიგია, რომ შკოლა, სასოფლო ბანკი, ქრუ-მოწყალების საზოგადოებათა მოსპობა, კარგი გუთანი, ვსთქვათ და სხვ. და სხვ. ყველა ერთად საჭიროა, ყველა ერთად ეხმარება ხალხის წინ წაწევას, იმის კეთილ-დღეობის მიახლოებასა და სხვ.

წრეს-გადასული, მეტის-მეტი თავმოყვარეობა არის ამ საქმეში ჩვენი ხელის შემშლელი და მაზიანებელი: თითოეულს ერთობ მოგვაქვს თავი, შეუცდომელად და შეუცდომელად მიგვაჩნია ყველა ჩვენი საქმე და ჰაზრი.

Ამას გარდა, ამაზე უსამზღვროთ და უაზროთ თავმოყვარეობის მიზეზით, ჩვენ ზოგიერთს, ერთის შეხედვით, პატარა საქმეებს არ ვეკიდებით ხელს; თითქოს გვეთაკილება. Უფროთ უდიდესი რამესთვის, უფროთ ერცელი ასპარეზისათვის დაბადებულად მიგვაჩნია ჩვენი თავი; და რადგან ამ დიდ საქმეს ვერ ვეპოტლობთ, ანუ უფროთ ხშირად, თუმცა ვეპოტლობთ, ვხედავთ,

ფელტონი

ფიქრები და დარდები

VI

Ბორტოჩკის კეთებამ ასეთი რახა-რუხი ააყენა, რომ მოსვენება აღარ მომცა.

Უთმინე ერთი საათი, უთმინე ორი, საშველი არ არის. მკეთებელს უთხარი: როდისღა მორჩები მაგ საქმესო, ხომ ხედამ ამ მყრალი ოთახის ფეტი არა გამაჩნია რა, გაზეთისათვის სტატიას ესწერ-ვეთქი. მუშამ ერთი აიცინა და მითხრა, შენც მოგცლია, რომ გაზეთში იჩხრიკებიო. Ტყეილა-უბრალოთ გულს ნუ იხეთქ, დაჯექ და მამის პური. ტკბილათ სჭამო, ის არ გირჩევნიაო! (Ის კი არ სცოდნია ამ მკლავ-მსხვილა კაცს, რომ ჩვენი მამების პური ხანდისხან ისრე ადვილი მისანელებელი არ არის, როგორც სხვაგან). Დიახ, დაჯექ და იცხოვრე მტერის თვალის დასაყენებლად და მოყვრის გულის გასახეთქათ, და რაც ფორტოჩკას შეეხება, ამას მე ეხლავე მოვრჩები და წავალ კიდეც სუდში მტყუანის დასასჯელათ და მართლის გასამართლებლათო.

— როგორ თუ სუდში-თქო? ეკითხე გაკვირვებულმა.

— როგორ და მე ნაფიცი მსაჯული გახლავარ.

როგორ წარმოვიდგენდი მე ამას, რომ ეთში უბრალოს, ხელ-დაძიგვებულ გლეხს, მუშას თუ საზოგადო საქმეების წყვეტა შეეძლოს; ეს მე სანამდეილოთ არ მეგონა, თუმცა კი წამეკითხა, გამეგონა. როგორ ვიფიქრებდი, რომ ამ ხელ-დასიებულ მუშის სიტყვით დიდისგან უდიდესი ღვინერალი ისრე დაისჯებოდა, როგორც ყველაზედ უფრო ღარიბი დამონებული გლეხი, რომელსაც დიდაცი თავადები „სხვის შვილს“ ეძახიან?

Არ მეგონა და დავინახე, არ ვფიქრობდი და ჩემის თვალით დავრწმუნდი. Ამის მერმეთ, ვთქვი, როგორ არ წავიდე სუდში და არ ვნახო, თუ სად დასვამენ ჩემ ფორტოჩკის მკეთებელს; ეგების ყელზედ რამე გადააცვან, ან ტანისამოსი სხვა ჩააცვან, პირს მაინ ცდაბანენ მეთქი, ვეფიქრობდი.

Შენც არ მომიკვდე.

×

Აქაური სუდის გაწყობილებაც იგრეთი ყოფილა, როგორიც ჩვენში, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ შუა ალაგას ჭერზედ Ოდესის მფარველი ქალი — მინერვაა დახატული, რომელსაც სასწორი უჭირავს ხელში, ფეხი ღრუბლებზედ უბჯენია და ქვეით ერთი მხრით ხომალდების დირეყები მოჩანს, მეორე მხრით რკინის გზები, ფაბრიკების ბუხრები, აქაური სობოროს გულბანდები და სხვ.-და-სხვ...

Ამ მხატვრობას ირგელივ შემდეგი სიტყვები აქვს წარწერილი:

„Მეფობდეს სასამართლოში სიმართლე და მოწყალებაი.“

წინა კედელზედ, როგორც ყველა სასამართლოებში, ხელმწიფეს მხატვრობაა, იმის წინ ყელ-გაჭრელებული მსაჯულები სხედან, მარჯვნით მდივანი, მარცხნით პროკურორი; მდივანის მახლობლათ ბრალდებულების ჩარდაყია და მის წინ ექვსი, სტენოგრაფი ქალი, მღვდელი, მოწმები და სხვა ვიქილები თუ მათი მჩანჩალაები სხედან. Ამათ პირ-და-პირ მეორე მხარეს ნაფიცი მოსამართლეები ანუ პრისიაჟნი ზასედატელები რიცხვით თორმეტი და მათ რიცხვში, რასაკვირველია, ჩემი ხელებ-დაბებრებული, გამურული მუშაც ერია.

დამნაშავე ერთი ახალგაზდა ვაჭკაცი გახლდათ, რომელსაც ერთის ბიჭისთვის ორი ულელი ხარი მოეპარა, ე. ი. არა მას მარტო, ამ ქურდს თავდაპირველი ქურდი ხლებია, რომელსაც ეს კაცი გაებრიყვებია პირველათ და რომელსაც შაუმტვრევია კიდეც კედელი და გამოეყვანა ხარები, მაგრამ ის ქურდი სადღაც გაპარულიყო და ჯერეც არ ყოფილა ნახული. Გამოძიებას საქმე იმდენდზედ მიეყვანა, რომ ყველაფერი გაეგო, ამ ვაჭ-კაცს სხვა აღარაფერი დაურჩა-რა, გამოტყდა და გულ-წრფელად აღიარა თავისი შეცოდება მსაჯულების წინ, პროკურორმა ურჩია ნაფიც მოსამართლეებს ამ ყმაწვილის დაკარგვა, ეუბნებოდა, მაგ იმისთვის გამოტყდა, რომ მეტი გზა არ ჰქონდაო და სხვა..

Ადვოკატმა წამოჰყო თავი და ჩვეულებრივათ დაიწყო ლიქლიქი, აი და შეხედეთ ამ ყმაწვილ ვაჭკაცო, რა შეხედულობის კაციაო, მაგის დაკარგვით იცით, რამდენი დასაკლისი მიეცემა რუსეთსაო, ჯერ მძლავრია, ყმაწვილია, მაგას შეუძლიან ცოლ-შვილით ოჯახი აავსოს, ყველანი კარგათ აცხოვროს, შვილები მშვენიერათ გამოზარდოს და მით რუსეთის ხალხს კეთილ-დღეობა შემატოს; ვთქვათ დასაჯეთ, ხედავთ, მ-გის დას-

*) „Дроэба“, № 114.

მაგრამ იმის გაკეთება ვერ მოგვიხერხებია, პატარასაც თაეს ვანებებთ და ამნაირად ხელები გულზე დაგვიკრებია, ეზიეართ დალონებულნი, იმედ-წართმეულნი და ვიძახით:

„ჩვენს ხალხში არაფრის გაკეთება არ შეიძლება! საზოგადოება გაფუჭებულია, დაცემულია, იმის წინ-წაწევა აღარ მოხერხდება!“

ნიჭი, მოხერხება და ძალა არა გვაქვს და სურვილი, ცარიელი სურვილი კი. ღონე არა გვაქვს, რომ დიდი რამ გავაკეთოთ, მთელ საზოგადოებას რომ დააჩნდეს იმისთანა, მთელმა ხალხმა რომ იგრძნოს,—და გული, ნდომა, კიდევ ცარიელი გული და ცარიელი ნდომა კი გვაქვს.

ამ მხრით ჩვენ იმ მებატონეს ვგვეართ, რომელსაც მდიდრული ცხოვრება უყვარს, ქვეყანაში თაეის გამოჩენა, მაგრამ იმდენი შემოსავალი კი არა აქვს თაეის მამულიდ მ, რომ ეს თაეის ნდომანი შეასრულოს. ამისთანა მემამულეს ადრე თუ გვიან, უეჭველია, გაკოტრება მოელის.

ამ გვარი სენია ჩვენი საზოგადო სენიც. და ამ მებატონეს მსგავსად ჩვენც ზნეობითი და მატერიალური გაკოტრება მოგველის, თუ ჩვენი მამულის შვილები უფრო მხნედ არ გაანძრევენ ხელს, თავიანთ წვრილმალ, უადგილო თავ-მოყვარეობის დაეიწყებას ვერ მოახერხებენ და ყველა, თაეის დონისა და საშუალების დაგვარად, საზოგადო საქმეებს არ მოჰკიდებენ ხელს.

ს. მ.

დღიური

— Зასრულ ორშაბათის სხდომაზე ჩვენი ძალაქის რჩევას არცერთ ისეთს საგანზედ არ ჰქონია მსჯელობა, რომელზედაც მაინცა-და მაინც საზოგადო ყურადღების მიქცევა ღირდეს. სხდომას დაესწრო მხოლოთ 25 კაცი.

*
* *

Зასაკვირველია, რომ ბუთაისის საადგილ-მამულო ბანკის თათბაზედ სრულებით არა ისმის-რა. ამაა წინათ დაებეჭდეთ ჩვენ, რომ ეს ბანკი ამ თეის 10-ს გაიხსნაო; მაგრამ ეს კერძოთ გაგონილი ამბაეი იყო; ხმდეილ კი დღესაც არ ვიცით: მართლა გაიხსნა ეს ბანკი ან დაიწყო იმან თაეის ოპერაციები, თუ არა? თუ გაიხსნა, ეს ქვეყანამ, მგონი უნდა შეიტყოს; თუ არ გაიხსნა, არც იმის გამოცხადება იქნებოდა ურიგო. მაგრამ, იქნება, ახლანდელი ბუთაისის თაეადაზნაურთა ბანკის გამგებელი თაეის მოამაეალი გაზეთის „Иверийის“ პირველი ნომრის გამოსელას უცდის და იმაში აპირებს ბანკის გასნაზე გამოცხადების დაბეჭდეას?!...

*
* *

ჩვენ შეეიტყეთ, რომ განსაკუთრებით კახეთისაკენ სოფლის ხალხი ძალიან შეწუხებული არის თურმე სახელმწიფო ტყის მცველებისაგან: თუმცა სახელმწიფო ტაქციაარის დანიშნული სახაზინო ტყიდამ სარგებლობისათეის, მაგრამ ამ ტაქციას არ უყურებენ, ხშირად უფრო მომეტებულს ართმეეენო; ამას გარდა გლეხს არასოდეს არ ჰყოფნის ის ტყე, შეშათა ანუ ფიცრად, რაც მთაერობისაგან დადებულია, საზოგადოთ ყოველთეის მეტი გამოაქეთო და აი ამისთეის ტყის-მცველები ერთ-ორად ახდეინებენო.

ამის გამო, ჩვენის ჰაზრით, ძალიან კარგი იქნება, რომ სახელმწიფო ქონების ბამგეობამ დააბეჭდეინოს შემოკლებული ტაქსა—თუ რა ტყეზე რამდენი უნდა გადახდეს გლეხს—და ეს ტაქსა ყველა სოფლის სასამართლოებში რომ დაიკიდებოდეს კედელზე:—მაშინ გლეხს ეცოდინება—რამდენს თხოულობს იმისაგან ხაზინა ტყის სარგებლობისათეის და ისე ადეილად და უღმერთოთ ტყის მცველები ვეღარ მოატყუილებენ იმას.

*
* *

Ერთი პედაგოგი ს. ი—ი გამოჩენილა Ზოთის სავაჭრო სასწაელებელში, რომელიც „უარჰყოფს თურმე ყველა პრინციპებს აწინდელი პედაგოგიის მეცნიერებისას“ და თაეის საკუთარი სისტემითა და წრთენით ასწაელის ყმაწეილებს; და ეს სისტემა მდგომარეობს იმაში, რომ რამდენჯერ 8—9 წლის მოწაფეს შესცდება გაკვეთილი ან რამდენჯერ იმის ცელქობას შეამჩნეეს, იმდენჯერ ან ჩინებულ სიტყებს აჭმეეს და ან ახალმოჭრილ ჯოხით დაარტყამს თურმე ხელის გულზე და ხან ცხვირ-პირშიაც. Ამასთანაეე ამ ჩინებულ პედაგოგმა ისეთი გინებაც და უმეცრი სიტყეებით ლანძღეა იცის თურმე კლასში შაგირდებისა, რომ, არათუ დარბაისელ საზოგადოებაში ქალები, კინტოებიც კი გაწითლდებიან, რომ გაიგონონო...

*
* *

ჩვენ მიეიღეთ ამ დღეებში პატარა წიგნათ გამოცემული „Апракси Христолюбиса“, ნათარგმნი თ. მიხ. ა. Бебутоეისაგან. Არ შეგეიძლიან არა ვსთქეათ, რომ თარგმანის ენა ცოტა არ იყოს მძიმეა, თუმცა ზოგიერთი არაკები საზოგადოთ ჩინებულად არის ქართულს ენაზე გადმოლებული.

ჩვენ წაგეიკითხაეს რამდენიმე არაკი თ. რაფ. Ერისთეისა და აკაკისაგან ნათარგმნი და, უნდა ვსთქეათ, რომ ამათ თარგმანს უპირატესობა უნდა მიეცეს.

*
* *

მე-12 ნომერი უფ. პეტრე Უხიკაშეილის „სასოფლო გაზეთისა“, ე. ი. ის ნომერი, რომელიც იქ[illegible]ში უნდა მიგეეღო, გუშინწინ, 25 ოქტომბერს მოგეეიდა...

წერილი რედაქტორთან

—

Бატონო რედაქტორო!

მე რომ საქმეს უყურებ, შენი ჭირიმე, აეირებ და დაეირდები, აეწრენავ და დაეწრენავ, სწორედ კი მიეხვდები ხოლმე, რომ ყველა ჩვენ უბედურებასთან და უხეირობასთან, ერთი ისეთი უხეირობაცა გეჭირს, რომელიც ყველა საქმეში რაღაცა ბაიყუშეითი წინ გეეღობება.

Ეს ჩვენი ბაიყუშობაც ის არის, რომ ერთობა, თანხმობა არა გვაქვს, ერთმანეთის მხარის ჭერა-მარეიცით, საერთო შრომა არ მოგეწონს, საერთო საქმეებს ჩვენ-თაეათ არას ეკიდებით, თუ ძალა არაეენ დაგეტანა. თუ კი არ გაეგჯუტდით, შეიჭირიმე, და მოეინდომეთ და ერთმანეთსაც მხარი მიეეცით,—ადეილად შენ ავად-მოხსენებული მოგიკედეს ადეილად ჩვენ ყველა ჩვენ დამაღონებელ ეა-ეაგლახს მოეიშორებდით თაეიდამ.

სულ იმიტომ შიდის უხერხოდ ჩვენი ცხოერება, რომ უთაურები ეართ, პირი არა გვაქვს, რამე გაჭირება რომ გეადგეს, ერთმანერთს მხარს არ ეაძლეეთ, რამე საერთო საჭირო საქმე რომ გეედოს ცხეირწინ გასაკეთებელი, ერთი ალმა გაერბიეართ, მეორე დალმა, მესამე ჯანაბას.

მეუბნებოდა ჩემი მეფოტოჩე, რო და მაღალ სუნდა წეართეა, ჩემს მდგარს მისი სიმდიდრე, ე. ი. უნდა მოეპარო თუ შეიძლება, ეგების სოზოგადოებამ ვერ გამიგოს, ვერც მსჯულებმაო.

Აი, სილარიბემ ავაზაკობა წარმოდგინა, სიმდიდრემ სილარიბე, უმართლიანობამ სიმდიდრე, ძალამ უმართლიანობა დამონებაო.

— Დიდ, ეს არის ავაზაკობის ანაბანაო, მიეხვრა ჩემმა მესაუბრემ. „ეს არის პირველი და უპირეელესი მიზეზი ჩეენი უბედურობის-თქო, უთხარი მე. Და ეს „ანაბანა“ ჩვენში ჯერ არაეის ესმის-თქო, თორემ ამოდენს ხანს მმართებლობას თაეს მოაძულებდნენ და ჩვენ ნაფიცი მოსამართლეები გეეყოლებოდათ; თაეადობის ღირსების ძებნით თუ ქეეყანა გაგეირუებია, მთაერობა მოგეებეზრებია, ამ საქმისთეის რატომ ერთი სიტყეა გერ დაგეინარჯაეს? მაგრამ არ გეესმის ეს „ანაბანა“! ძლიერ „ხატზედაა გადაცეშეული,“ მერწმუნეთ, ჩეენი თაეად-აზნაურობა.

პეტრე

შეუცელია რუსეთის მსაჯულება. Აქ იმისთეის კი არ სჯიან ავაზაკებს, რომ ეს თეით დასჯა მათთეის გასაზარებელი იყოს, ან დასჯილების რიცხემა რომელიმე სუდის პრედსედატელს ჯილდო მისცეს ან სხეა რამე პატივი. Არა, ჩემო ბატონო, აქ სჯიან მისთეის რომ მთელი საზოგადოება ამბობს, ეს კაცი ავაზაკიაო და ეს არაო; ნაფიცს მოსამართლეებს კარგათ ესმისთ თაეიანთ საზოგადოების მდგომარეობა, იმათ კარგათ იციან ეინ არის ნამდეილი ავაზაკი და ეინ არა.

×

Ეს ყმაწეილი ქურდი წელან მართლა მისთეის კი არ გაუნთაეისუფლებიათ, რომ ის ყმაწეილი, მხნე მუშაა, როგორც ადეოკატი ტიტინებდა; არა, ნაფიც მოსამართლეებმა წაიკითხეს მის სახეზედ, ნახეს მის ცხოერებაში ნათელი თეისებები, განსაჯეს, რომ ეს ყმაწეილი უცაბედათაა გაავაზაკებული, და ეს ბოროტება დღესეე ამოხოცეილია, მართო მით რომ ის ქურდობისთეის გაინსაჯა.

ჩემს ფოტოჩაის მკეთებელს, როცა ის მას სჯიდა, კარგათ ესმოდა თუ რა სურათს ან შედეგს წარმოადგენს სილარიბე, მაშინ როდესაც შენს გეერდით ღორ-მუცელას ოქროს ტახტრეანდები დაუკეთებია, ფეტონებში დასეირნობს და ფლანგაეს ფულებს უხეათიქ, სადაც უმისოთაც უხეათ ყრია ეს წყეული ნივთიერება. ჩემს ფოტოჩეის გამკეთებელს ბეერჯელ უთქეამს რომ სანამდის ჩეენში ეს უთანასწორობა იქნება, მანამდის ჩეენ ავაზაკებს არ შეეიქნებით მოკლებულიო, კაცის გული ვერ ითმენს უსამართლიანობას, ადამიანი თეით პტიოსანი ქმნილებაო; სანამდის ძალაზედ არ გამოიწეეს გარემოება, მანემდის ის სულგრძელიაო, მე დღეს ჩემი ცოლ-შეილით მშიერ-მწყურეალე დამტოეა ჩემმა აღამ, მისთეის რომ დღეანდელი ჩემი დღის ქირა მას მიემატა, მის მილლიონებთან ჩემი ორი აბაზის დამატებაც მოესურეაო, რაექნა მე ამ მდგომარეობაშიო? უნდა ავიღო დამბაჩა, შეეეარდე ოჯახში ავიკლო მისი ცოლ-შეილი და წაეართეა მთელი სიმდიდრე? Აა, ეს ამკარის ავაზაკობა იქნება, მაშინეე დამიჭირაეენ და დამხრეტენ კიდეც; მაშ მოვიკლა თაეი? Ცოლ-შეილიც ზედ წამაწყდება, მაშ რა უნდა ექნაო?

-აც აცილოთ, თუ გნებავთ, ჩვენი ბედამის ქმის გზები. ამაზედ სათემო რალა იქნება, შენი ჭირიმე? ჩვენ უხეირო ცხოვრებაში ამაზედ ძალიან საჭირო არა მეგულება-რა. ბევრი ჭკვიანი კაცისაგან გამიგონია, რომ გლენე-კაცის შრომა ფუჭია, გინდ სულ დღე-და-ღამ ოფლში იწურებოდესო, თუ რიგიანი გზა არა აქვს, რომ თავის ნაღვაწი და ნაშრომი ქალაქის ბაზარში ადვილად დაჩქარა ჩაიტანოსო და გაყიდოსო.

მე რომ ვფიქრობ, ამ ჩემი ეაგლახი თავითა, სწორედ ჭკვიანური სიტყვაა, კაი გოგრისგ ყოფილა ამისი მთქმელი. აბა იფიქრე, ბატონო, ვსთქვათ, ახლა მე გარეჯელი ვარ. (ივრელი გახლავარ, მაგრამ რამე სოფელი რომ ვსთქვა, უფრო ნიშანდობლივ იქნებაო.) ახლა, ვსთქვათ, ატამი მაქვს ბევრი; კარგა ვიცი, რომ ის ატამი ქალაქში მქონდეს, ერთხუთიოდ თუმანს მაინც შემმატებს. ოღა თქმა უნდა, მეტყვი, წაიღე და გაყიდეო. შენ კი დაგლოცა ღმერთმა! მე კი არ ვიცი, რომ წავიღო — ქალაქში ჩავიტან. მაგრამ, მაგარი ეს არის, რომ იმ ფასად გაეყიდი, რა ფასათაც იმის იქ ჩატანა დამიჯდება? მერე ისე საღსალამათად ჩავა, რომ ბაყალმა არ დაიწუნოს და იყიდოს? აბა კიდეც ეგ არი აი!

საგარეჯოდამ მანამ შოსსემდის მივიტან, მთელი ცამეტ-თოთხმეტი ვერსტი, ჯერ უნდა ჩამოდენა ქვებზედ ვარახრახო ურემი, მერე ერთი, ოცი-ოდ ალმართ-დახმართზედ უნდა ავეხალ-ჩავეხალო; ამ ვაი-ვაგლახში საქონელიც გაეწყვიტო, ურემიც დავანჯღრიო! — სულ გადასაყრელი გამიხდება, ატამსაც დავკარგავ და ურმის ქირასაც ზედ წავაგლეს.

უურძენზედ რომ ნურც კი ვფიქრებთ: ვინც აქედამ ყურძენი წაჰიდოს, ურემს ქვეშ ქვევრები უნდა შეუდგას და მანამ ჭალაში ჩავა, ღვინო დადუღებულიც იქნება და ბაყლის შავგირად პირ-და-პირ სირაჯთან უნდა მიიტანოს. მაგრამ რომ არც ასე შეიძლება.

მს საგარეჯოდგან მოგახსენე, ახლა ამაზედ შორიდგან რა იქნება? მსთქვათ მანავიდგან, თოხლიაურიდგან და სხვა.

ასე გახლავსთ ჩვენი საქმე. ჭალაქთან საეჭვოდ ჩვენ მარტო თივა და ბზელა დაგვრჩენია. მსენიც, თუ ბევრია, ჩამოტანად არა ღირს, იმის ფასი ქირაში წაგვივა, და თუ ცოტაა, ჩვენც ძლივსლა გვყოფნის და გასასყიდი სადღა გვექნება. და თუ სხვა ხილეული გვაქვს რამე, ისიც ან ჩატანად არ ეღირება და ან გზას ვერ აიტანს და ამაობაში შინვე გვილპება და საძარლ-ღროთ გვეხდება.

მეტის-მეტი დამაღონებელია, შენი ჭირიმე, ჩვენი გლეხკაცობისა ეს უხეირო გზები. ჰაი, ბეჩა, რა მადლობა უნდოდათ, რომ ძახეთის შოსსე, იმ უგზო-უკელოდ გატარებას, აელოთ და ასე ამ ჩვენ სოფლებზედ გაეედოთ, ერთ ათიოდე სოფელს სწორედ სულს კი ჩაუდგამდა და...

რ ი ე ნ წ ე რ მიდეენებია, შენი ჭარიმე, თვალ-ყურია, ესთქვათ საგარეჯოდამ რომ წამოესულვარ მანამ იმ-რამდის მოესულვარ, სულ ცამეტ-თოთხმეტი ვერსტი, უფრო დიდი ძალა მოსელია ურემსაცა და საქონელსაც, მინამ იერიდგან ქალაქამდის, ოცდა თერთმეტ ვერსტზედ.

საშინელი ყურმიგდებული გაქირი ხალხი ვართ; რაც გვემართება, რაცა გვჭირს, კარგი თუ ავი, ასე გვგონია, შენი ჭირიმე, სულ ასე უნდა იყოსო, სულ ასეა ჩვენთვის გაჩენილიო, და ამიტომაც თითქოს ტვინის შერყევა გვეზარება, ხელის განძრევა არ გვინდა, რომ რამე საზიანო საქმე ავიცილოთ ხოლმე თავიდამ.

მაგრამ, ჰე, ამის მიზეზი სხვა რამეც არის: სხვა და სხვა ოინებითა გვაქს გაფუჭებული გული და ამიტომ ცალკ-ცალკე ჯოხები ვართ და ვილაწებით. მთის რიგიანი ჩამგონებელიც არავინა გვყავს: მე ვიცი ჩვენი ლიდლები გეიპატრონებენ და გზას გვასწელიან, სუდია-მამასახლისები ხომ, რალა თქმა უნდა ბოქოულ-ჩაფრებიანად, აი, ღმერთი იმათ უშველისთ!

ამ ხეობის სოფლებისთვის უფრო ძალიან გასაჭირი გზა სართაჭალიდგან საგარეჯომდის გახლავსთ, როგორც მოგახსენე, სულ ცამეტ-თოთხმეტი ვერსტი იქნება. მინიცობაა, რომ ეს ნაჭერი გზა სათემოდ გაკეთდეს, ექვსი სოფლის მოსახლეობა, აზნაურობა და გლეხობა, უნდა იყოს ამის გამკეთებელი, სულ ათას შვიდას კომლამდის. მოთხმეტი ვერსტი რომ ჩავაგდოთ ეს ნაჭერი, თითო ვერსტი თითქმის ას ოც კომლს შეჰხვდება გასაკეთებლად.

ამისთანა მცირედი, მაგრამ ძალიან სასარგებლო, საქმე რომ იმძიმოს ამოდენა ხალხმა, აბა ის ხალხი რალა ცოცხლებში გასარევია, შენი ჭირიმე?

ჩვენმა მამასახლისმა რომ სიკეთე მოინდომოს ჩვენთვის და ხალხი წააქეზოს ამ საქმეზედ, მალე მტერი შენ მოგიკვდეს, მალე ჩვენ ამ გზას გავაკეთებდით, — სულ ბეკრი ორ ზამთარს მოუნდებოდით, ორ-ორი თვე რომ ვიმუშაოთ; მაინც ზამთრობით მაგდენი საქმე არა გვაქსრა.

ძახეთის გზას ცხრა წელიწადი ვაკეთებდით და ამ ჩვენ საკუთარ გზას როგორ ვერ უნდა შევსწიროთ ოთხიოდე თვე?

დრო-კი არის, რომ ჩვენს თავზედაც ვიფიქროთ რაჰე. მე რომ საქმეს უყურებ, ყურის მიგდებით ჩვენი ცხოერება წინ ვერ მიდის. „ცდა ბედის მონახევრეაო,“ ნათქვამია; ვინც ცდილობს რასმე, ბედმაც ის არის.

ივრელი გლეხი ნანია

„დროების“ კორრესპონდენცია

ოზურგეთი, 20 ოქტომბერს. ხშირად ისმოდა წელს ჩვენში სამღვრევი ნაწუხოო ციცხვზედ და ნაწუხოო წვიმებზე. ძლიერ შეწუხებული იყო ჩვენი სოფლის ხალხი, რადგან თავის დროზედ არ ღირსებია არც წვიმა, არც სიცხე. მაგრამ ყოველ შემთხვევაში გაურულებია, მეტს თუ არა, თავის საკოთ ხარჯს კი შეაგროვებდენ, რომ ამ უკანასკნელ დროს ნიადერებს არ მოეტაცა მათთვის ნამუშევარი.

ბევრს მათგანს აუღებელი ყანები წაუღია წყალმა და წაიღო, ბევრს კალოზედ გარჩეული და მოგროვილი სიმინდი წაართვა და ზოგს ნალიამდ (სასიმინდეში) შენახული თავისი ერთი წლის სარჩო სასიმინდიანა წაართვა, ბევრი გლეხი მოსახლეობით მოთხარა და წაიღო; მხოლოთ კაცმა კი უშველა თავს, თორემ სხვა მათ მიდამოზედ არაფერი გაუშვია; ბევრს ვენახის ბალი წაართვა, ბევრს მამული ანუ ალაგი.

საზოგადოთ ბურიაშიდ წყლებმა იმისთანა ალაგას გადაიარა, სადაც მის დღეში არ გადაუარია და რომლის მოძსწრე კაცი არ არის.

მს რაც იქმნა სუყველა სოფლად და სწყალ დაბალ მუშა ხალხის ზნიანი იყო, მაგრამ უფრო უარესი უბედურება ოზურგეთის მოქალაქეებს მიადგა: ბევრი დუქნები მოიტაცა, ბევრს სახლი თავისი ბალით და ოჯახის მოწყობილებით წაართვა; შიგ შუა ქალაქში იმოდენა მდინარე მოდიოდა, რომ ძნელად თუ შეიძლებოდა კაცისთვის ეშველათ ცურვით ან ცხენით; მაღალ ადგილზედ მდგომი ხედავდა, რომ კაცი წყალს მიქონდა, მაგრამ ვერ შველიდა.

სულ ოზურგეთში დაიხოცა ოთხი კაცი, ორი ქალი, ერთი მოსწავლე და ერთი სოფლის მასწავლებელი, რომელიც წინა დღეს სოფლიდგან ჩამოსულიყო ქალაქში, რაღაცა თავის საქმის თაობაზედ, და ერთი მოხუცი, რომელიც წყალმა შუა ქალაქში გამოატარა და რომლის ვინაობა ჯერაც არ ვიცით.

ვაჭრებს დიდი ზარალი მისცა საქონელის დასველებით და გაფუჭებით, და შენობის დაშლით, და კიდევ მეტი დეემართებოდათ და ერთი ამოდენი კიდევ დაიხოცებოდა, თუ რომ იმ დროს მაზრის მმართველის თანაშემწეს თ. კ. ბაქრაძეს არ მოეხდინა ფიცხელი განკარგულება და არ მოეწვია პალასტუნები ძლიერ კარგი მცურავები დასახმარებელად და თვითონაც თავ-გამოდებული არ გაჩენილიყო ადგილზედ დროიანათ.

უველა ზემო-ნათქვამი ზარალი არის მოხდენილი ერთი მდინარისაგან, რომელიც თითქმის ერთ ვერსტზედ ჩაუვლის ოზურგეთის ქალაქს; ამ მდინარეს ქალაქისთვინ არას დროს ზარალიარ მიუცია; თუმცა ბევრჯელ გადიდებულა; მაგრამ ეხლა ექვს ვერსტზედ ოზურგეთს ზევით სოფელ შემოქმედს უალაგო ალაგას გადახვეთია, ჩაირია შუა სოფელშიდ, ჩაევლო ხატარა მდინარეშიდ, რომელიც თითქმის ჩვენი ქალაქის შუაშიდ ჩაიელის და მით ააოხრა.

თუ ამ მდინარის თავის კალაპოტშიდ ჩაგდებაზედ რაიმე საშუალება არ იხმარეს, შემდეგისთვის არათუ ამ გვარს უბედურებას, კიდევ უარესს უნდა მოველოდეთ.

ზარალი, მომხდარი ამ ხატარა მდინარე შუკისაგან, მარტო ქალაქ ოზურგეთშიდ იმას დაფასებით იქნება უკანასკნელი 20,000 მანეთი და შემოქმედის საზოგადოებაში სადგანაც ეს წყალი წამოვიდა, 10,000 მანეთი. მს მდინარე ზღვაშიდ ჩართვამდის სხვა რამოდენიმე სოფლებსაც გაივარს და რასაკვირველია, იქაც მეტს თუ არა, იმოდენს ზარალს იზამდა.

წარმოიდგინეთ ეხლა დანარჩენი ბურიის ხუთი ამაზედ ბევრით დიდი მდინარეები, რომლებსაც თავიანთი დასაწყისი უფრო შორს აქვს ზღვიდგან, რამოდენს ზარალს მისცემდა ბურიას?

ს. ნაკაშიძე

უცხო ქვეყნები

სერბია. უკანასკნელი ფოჩტით მოსული გაზეთები გვაცნობებენ დაწვრილებით ამბავს იმ შეტაკებაზე, რომელიც სერბიელებსა და ოსმალოებს შუა მოხდა დიუნიშის ახლო-მახლო ადგილებში, რომელსაც სერბიელები ასე საშინლად დამარცხებულნი იყვნენ. ამ გაზეთების სიტყვით სჩანს, რომ ერთს ალაგას სერბიელებს მიწის ქვეშ ლაღმები გაუყვანიათ, უფეთქიათ და 5,000 ოსმალოს ჯარი მოუკლავთ და ამას გარდა 7,000 მძიმედ დაჭრილა.

სხვა გაზეთებში იწერებიან, რომ ამ შეტაკების დროს სერბიელები განზე გადგნენ, იმათ ბრძოლაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ და მხოლოთ რუსები შეებნენ მტერსაო; ამიტომაც უფრო მომეტებული რუსები დაუხოციათ, მარტო 117 აფიცარი მოუკლავთ ამ დროს. სერბიელი გაზეთები კი ამბობენ, რომ ამ შეტაკებაში 10,000 ოსმალოს ჯარი დაიხოცაო, 1,500 სერბიელი და 2,500 რუსიო.

—

ინგლისი. ინგლისის მმართებლობას, ახლანდელი შეფოთის მოსახსნელად, წინადადება შემოუტანია, რომ ევროპის უმთავრეს სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან კონფერენცია შესდგეს და რაც ამ კონფერენციამ გადაწყვიტოს, ოსმალეთი და სერბია უნდა დათანხმდნენო. კონფერენციაში უმთავრესი ხმა რუსეთის წარმომადგენელს ექნება. ოსმალეთი კი კონფერენციიდამ გამორიცხულია. დროებითი მორიგების პირობაში, სხვათა შორის, მოხსენებულია, რომ, თუ ორი თვის განმავლობაში დაბოლოებით მორიგება არ მოხდაო, მაშინ ორჯერ კიდევ ექვს ექვსი კვირით უნდა გაგრძელდეს დროებით მორიგების ვადაო. მაშასადამე საფიქრებელია, რომ, ამათ იქნება თუ კარგათ, ევროპა ომს აიცილებს თავიდამ და აიცილებს მით უფრო, რომ ის არავის არა ჰსურს, არაევინ არ არის იმისთვის მომზადებული.

—

რუმინია. რუმინიის მინისტრების თავს-მჯდომარეს ბრატიანოს წინადადება შეუტანია ხალხის წარმომადგენელთ პალატაში, რომ მილიცია გა-

მოიწვიონ, რომ ვინიცობაა ომი მოხდეს, მზათ იყვნენ. ამბობენ, რომ ომიანობის დროს რუმინიას 150.000 კაცამდი შეუძლია ბრძოლის ველზედ გამოიყვანოსო. ამასთანავე რუმინიის გაზეთები თხოულობენ, მმართებლობამ სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადოს რუმინიისა ოსმალეთისაგანო.

—

იტალია. ბუშინ მოსულმა დეპეშამ შეგვატყობინა, რომ რომში გადაცვლილა უცხო ქვეყნის მინისტერი რომის ტახტისა გამოჩენილი კარდინალი ანტონელლი. ჩვენში რომ იტყვიან, მარჯვენა ხელი არისო, სწორეთ იმისთანა მარჯვენა ხელი იყო კარდინალი ანტონელლი ახლანდელი რომის პაპის პიო მეცხრისათვის ასე რომ უომისოთაც ამ უკანასკნელ დროს ძალიან დაავრდნილ პიო მეცხრეს ამ ნიჭიერი კარდინალის სიკვდილი ძალიან დააკლდება.

— საზოგადო კენჭის-ყრა ყოფილა ამ ხანებში მთელს იტალიაში პარლამენტის დეპუტატებისა ამოსარჩეველად და, როგორც გაზეთებში იწერებიან, მომეტებული ნაწილი ამორჩეულ დეპუტატების ახლანდელი სამინისტროს მომხრენი არიანო.

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება თფილისში, მარტო ბრიჭუროვის წიგნის მაღაზიაში, პრიკაზის პირდაპირ,

არაკნი

კრილოვისა

ნათარგმნი რუსულიდგან

თ. მიხეილ ა. ბებუთოვისაგან

ფასი ოქრი აბაზი

თ. მიხეილ ბებუთოვს უთარგმნია აგრეთვე და ამზადებს გამოცემისთვის ბერანჟეს ლექსებს და აგრეთვე ქრილოვის დანარჩენს ზღაპრებსაც.(3—1

ფალკეტი

თქმული

დავით გივიშვილისაგან

ისყიდება ხვეა და სხვა წიგნის მაღაზიებში.

ბანკირის კანტორა

დამწესებელი

1-ლი გილდიის ვაჭარი

ა. მ. აქიმოვი

ერევნის მაიდანზე, ქუკუჯანოვის სახლებში,

წარმოებს

1) ასესხებს ფულებს ყოველგვარი მოძრავი ქონებისა, % ბანკის ბილეთებისა, აქციისა და თფილისის ბანკის გირაოს ფურცლებისა და სხ. გირაოთა;

2) ჰყიდულობს და ჰყიდის % ბანკისა და მოგებიან ბილეთებს, აგრეთვე თფილისის კომერციულ ბანკის აქციებსა და თფ. საადგილ-მამულო ბანკის გირაოს ფურცლებსა და სხვ.,

3) ჰყიდულობს უფლებას, რწმუნებითი ქაღალდით, პენსიის მილებისას, აგრეთვე ფოჩტის, არენდისკუპონების და სხვ. ფულებისას;

4) ახურდავებს სახელმწიფო სერიებს, ოქროსა და ვერცხლის ფულს რუსეთისას და სამზღვარ გარეთისას.

5) საზღვეველად (სტრახში) იღებს ტირაჟის გაუქმებისაგან მოგებიან ბილეთებს ათ შაურად ქალაქელებისათვის და ქალაქს გარეშე მცხოვრებლებმა ამას გარდა ერთი ფოჩტის მარკა უნდა გამოგზავნონ;

6) ჰყიდის მოგებიან შინაგან სესხის ბილეთებს, დრო-გამო შეებით ფულების მიცემით, ასე რომ მყიდველს შეუძლიან ყოველ თვეში 15 მანეთი შემოიტანოს კანტორაში;

7) ჰყიდის, მინდობილობით და გირავებულსა და ვადას გადასულ, ძვირფას ნივთებს იაფ ფასად.

(10—9)

დოქტორი და აკუშერი უ. გავროწსკი მიიღებს მოსარჩენათ ავათმყოფ, ქალებს და ვაჟებს ყოველ დღე გარდა კვირადღისა, დღით დაწყობილი პირველ საათიდგან ეიდრე სამ საათამდინ;—მხოლოდ ღარიბ ხალხს უფასოთ, სამშაბათობით და პარასკეობით იმავე საათებში.

ბინა აქვს ხანის ქუჩაზედ, მანთაშოვის სახლში, მეშვიდე ნომერი, რომელშიაც იდგა უ. ბარანოვსკი.

ჭუთაისში, ღუბერნიის სტამბაში ისყიდება ბერ. ქალანდარაშვილისაგან შედგენილი წიგნი:—**რუსული ენის დასაწყისი პრაქტიკული კურსი ქართველთათვის.** გამოცემა მეხუთე, ხელ-ახლად გასწორებული და შემოკლებული. ფასი სამი აბაზი.

თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა უმაღლესად დამტკიცებულის წესდების § 16 ა ცხადდება, რომ ამ წლის ოცს ნოემბერს 12 საათიდამ ორს საათამდი დღისით ქალაქს თფილისში თეით ბანკის გამგეობაში მოხდება სოყოველთაოთ გასყიდვა ვადის გადაუდებლად შემდეგთა პირთ უძრავ მამულთა, რომელნიც ქვემოთ არიან მოხსენებულნი, შემოუტანლობისა გამო მათგან სესხისა, რომელიც მათ უნდა შემოეტანათ ვადაზე ბანკის წესდების §§ 29 და 30 დადგინების ძალით:

მეპატრონეთა სახელი და გვარი	რა გვარი მამულია.	ადგილ მდებარეობა მამულისა.	თავნი ვალი.	თავნი ვალი სხვა გვარი გადასახადის მიმატებითა.
უორლანოვი, მერაბ ზაქარიას ძე.	252 დესიატინა და 600 ოთხ-კუთხი საჟენი	თფილისის უეზდის სოფ. შავთასა და ვანეთში.	3984 მ. 54 კ.	4177 მან. 85 კაპ.
გედევანოვისა, ეკატერინა ივანეს ასული.	ერთ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი	ქ. თფილისში II განყ. I უჩასტკაში, ავჭალის ქუჩაზედ.	3711 მ. 91 კ.	3782 მან. 17 კაპ.
მურადოვი, ივანე ზიმორგის ძე.	ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი.	ქ. თფილისში, I განყოფ. I უჩასტკაში.	1181 მ. 73 კ.	1267 მან. 94 კაპ.
ბებუთოვი, დავით მელიქზადეს ძე.	208 დესიატინა და 378 ოთხ-კუთხი საჟენი.	თფილ. უეზ. სოფ. წყნეთში.	4488 მ. 57 კ.	4702 მან. 41 კაპ.
ალენიკოვისა, სალომე.	ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, ფლიგელითა და სხვა შენობით.	ქ. თფილისში I განყოფ. I უჩასტკაში, დავიდოვის ქუჩაზედ.	3939 მ. 10 კ.	4158 მან. 90 კაპ.
სულხანოვისა, მარიამ ივანეს ასული	რვა თითო ეტაჟიანი დუქანი, ორი დუქანი ორ-ეტაჟიანი და ორიც სამ-ეტაჟიანი.	ქ. თფილისში I განყოფილების I უჩასტკაში.	17,723მ.95კ.	18,816 მან. 03 კაპ.

აღნიშნულნი მამულნი გაისყიდებიან ერცლად—ერთიანად და არა ნაწილებათ, და თეითოეულ მამულზე განსაკუთრებითი ვაჭრობა მოხდება თანახმად წესდების § 19 იმ რიცხვიდამ, რომელიც იმაზედ ირიცხება ბანკის კაპიტალური ვალი, ვადაზე შემოსატანი ფული, ხარჯი, რომელიც ბანკს მოუხდენია მის გასასყიდლად დანიშნვაზე და სხვა სახაზინო და საერო გადასახადი.

აქვე პატივი აქვს ბანკის გამგეობას დაურთოს, რომ თეით ნომინალური ვალი, რომელიც რომელიმე ამა აღნიშნულ მამულთაგანზე ირიცხება, შეიძლება მოვალემ გარდაიხადოს ამავე ბანკის გირაოს ფურცლების შემოტანით მანეთით მანეთზე მათ ნომინალურ ღირებობაზე; აგრეთვე შეიძლება ეს ვალი გარდატანილ იქმნეს ბანკის დათანხმებით მყიდველზე, რომელიც კი ვალდებულად ხდის თავის თავს პასუხი აგოს ყველა იმ ვალებზე, რომელიც ნომინალურ ვალის გარდა,—აღნიშნულ მამულზე ირიცხება, ნაღდის ფულით.

თუ აღნიშნულს ამ წლის 20-ს ნოემბერს არ გაიყიდა მამული,—მაშინ წესდების § 22 ძალით დაინიშნება მეორე და უკანასკნელი ვადა გაყიდვისა ამ წლის 7 დეკემბერს.

(3—3)

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	36	4	54				
მცხეთა . .	—	—	—	—	-	68	-	38
გორი . .	12	21	8	41	2	40	1	23
ხაშური . .	2	—	11	10	3	92	2	18
ბეჟათუბანი	—	—			4	42	2	46
ყვირილა .	—	—			5	81	3	23
ჭუთაისი. .	8	23			6	75	3	75
სამტრედია .	—	—			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	11	44			9	75	5	42
ფოთი . .	8	40						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	—	—			2	6	1	14
ჭუთაისი .	11	51			3	4	1	69
ყვირილა . .	—	—			3	98	2	21
ბეჟათუბანი	—	—	ღამე		5	33	2	96
ხაშური . .	5	41	1	6	5	84	3	24
გორი . .	7	23	3	6	7	36	4	9
მცხეთა . .	—	—			9	8	5	4
თფილისი	10	16	7	24	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:

ოდესისკენ—შაბათს დილის 8 საათ.

სტამბოლს—კვირაობით, დილას.

ბ) ოდესიდამ:

ფოთისკენ—ორშაბ. ნახად. 3 საათ.

სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ჭერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ჭუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ:

სამზღვარ გარეთ, ჭუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდიდს., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ჭუთაისიდამ:

თფილისისა და ფოთისკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთ—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ითხშაბ.

გ) გორიდამ.

შოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირა გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ:	კაპ
ერთი წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა

პეტერბურგი, 21 ოქტ.

	მან.	კაპ
მრთი მანეთი ღირს:		
ლონდონში 3½ პენსი.	—	84
პარიჟში 317½ სანტიმი.	—	89
მსკონტი(სარგებლისფასი)	6	—
ბანკის ბილეთი 5%	96	40
მოგებიანი(პირველისესხი)	174	50
მოგებიანი (მეორე სესხი)	172	50
გირაოს ფურცლები:		
თფილ. საადნ. ბანკისა.	—	—
ხერსონის ბანკის (5½)	81	25
მოსკოვის (5%). . .	86	25
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	165	—
ფოთი-თფილ.რკინ. გზის	—	—
შავიზღვის ცეცხ. გემების	500	—
ქავკაზის და მერკურის. .	199	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	725	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	242	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	271	—

მაზანდა

თფილისი, 26 ოქტომ.

	მან	კაპ
პური შორაგალის ფთ.	1	—
ქერი ფუთი. . . .	—	65
ბამბა ქრევნისა, ფუთი .	5	20
—ამერიკისა, ფუთი. .	5	60
ბაჰენტილი ბამბა ფთ.	8	—
მატყლი თუშური ფთ .	6	—
—მარაქამისა ფთ. .	4	60
აბრეშუმი ნუხური გრ.	2	60
ქონი, ფუთი. . .	4	—
ქონის სანთელი ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	10	30
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	45
—ცხერისა, ლიტრა. .	—	50
სპირტი, ვედრო. . .	6	20
შაქარი, ბროც. ფუთი .	6	25
— ფხვნილი ფუთი . .	5	90
უაკა გრგვალი ფუთი .	18	—
ზეთი ქუნჟუთისა ფთ.	6	20
ოქრო ½ იმპერიალი. .	6	52

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 Октября 1876 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.